

შპს „თეგეტა რენტალსი“

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
არააუდირებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
4. შემოსავლები	12
5. ძირითადი საშუალებები.....	12
6. ადმინისტრაციული ხარჯები.....	13
7. ფინანსური ხარჯები	13
8. ფინანსური შემოსავლები.....	13

**შპს „თეგეტა რენტალსი“ - მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი
ფინანსური ანგარიშგება**

**შპს „თეგეტა რენტალსი“-ს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური
მდგომარეობის ანგარიშგება**

	31-12-2021	31-12-2020
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	115,880	112,475
საგადასახადო აქტივი	-	-
გადახდილი ავანსები	17,624	13,560
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	1,447,814	507,692
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	49,928	24,999
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,631,246	658,726
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	5,441,565	3,499,973
არამატერიალური აქტივები	4,117	6,017
სულ გრძელვადიანი აქტივები	5,445,682	3,505,990
სულ აქტივები	7,076,928	4,164,716
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	271,924	353,463
საფაქრო და სხვა ვალდებულებები	5,292,078	3,638,669
საგადასახადო ვალდებულებები	8,773	23,932
დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები	24,872	20,593
სახელმწიფო ვალდებულებები	61,722	4,300
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5,659,369	4,040,957
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	15,100	15,100
გაუნაწილებელი მოგება	1,402,459	108,659
სულ კაპიტალი	1,417,559	123,759
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	7,067,928	4,164,716

ალექსანდრე ლაფერიშვილი
დირექტორი



**შპს „თეგეტა რენტალსი“ - მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი
ფინანსური ანგარიშგება**

**2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება**

	2021	2020
შემოსავალი	5,969,476	2,774,377
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4,448,395)	(1,781,672)
საერთო მოგება	1,521,081	992,705
ადმინისტრაციული ხარჯები	(775,444)	(361,806)
კომერციული ხარჯები	(76,559)	(165,680)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(79,117)	(146,226)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	278,839	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება	868,800	318,993
ფინანსური შემოსავალი	474,511	49,727
ფინანსური ხარჯები	(49,511)	(743,201)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე	1,293,800	(374,481)
მოგების გადასახადის ხარჯი	–	–
წლის (ზარალი)/მოგება	1,293,800	(374,481)
სხვა სრული შემოსავალი	–	–
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი) მიკუთვნებული:		
კომპანიის მფლობელებს	1,293,800	(374,481)
არამაკონტროლირებელ წილს	–	–
მთლიანი სრული მოგება	1,293,800	(374,481)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	108,659	483,140
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	1,402,459	108,659

*შპს „თეგეტა რენტალსი“ - მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი
ფინანსური ანგარიშგება*

შპს „თეგეტა რენტალსი“-ს საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	15,100	–	483,140	498,240
წლის წმინდა მოგება-ზარალი			(374,481)	(374,481)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,100	-	108,659	123,759
წლის წმინდა მოგება-ზარალი			1,293,800	1,293,800
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,100	-	1,402,459	1,417,559

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “თეგეტა რენტალსი”, საიდენტიფიკაციო ნომრით 454412305, წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომელიც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში დარეგისტრირდა 20.08.2018 წელს. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ფეიქრების ქ., N 14

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის 100 % მფლობელი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ინტერაგტო თრეიდინგი (206211936).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და ლიზინგი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.3 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომელის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები

გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის

შესაბამისად, წლის ბოლოსათვის კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

2.5. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია

იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებების ჯგუფები	საექსპლუატაციო ვადა
მანქანა-დანადგარები	5-8
საყოფაცხოვრ. ტექნიკა	3
კომპ. და აქსესუარები	3
ელ. მოწყობილობები	3
ავეჯი	
სხვა ინვენტარი	3
საკუთ. სატრანს. საშუალ.	5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.6. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალს ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალს ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით

2.7. გადასახადები

მოგების გადასახადი - მოგების გადასახადი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიების მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, არ იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახადით დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ დივიდენდის სახით განაწილებული მოგება.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა ხარჯების“ სახით „სხვა საოპერაციო ხარჯების“ შემადგენლობაში, მოგებაში ან ზარალში ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი - შეძენილი აქტივების თუ მატერიალური ფასეულობების, შემოსავლებისა და ხარჯების დარიცხვა ხდება დამატებითი ღირებულების თანხის გამოკლებით, გარდა იმ გამონაკლისებისა, როცა დამატებითი ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება ჩათვლას. ასეთ შემთხვევაში, დამატებითი ღირებულების ხარჯი მიეკუთვნება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებს ან აღირიცხება ხარჯის მუხლში.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დღგ-სთან დაკავშირებით დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში სხვა ცვლილებები. 2017 წლის 1 იანვრიდან, დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარა საქონლის ან მომსახურების შემძენისაგან მიღებული ავანსები. კომპანია შესაბამისად ბეგრავს ავანსებს და აღრიცხავს საგადასახადო გადასახადების აქტივებში.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ, ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის თანახმად, მარაგის თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდისა და იმ ერთგვაროვანი

ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც აწარმოეს ან შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

2.9. შემოსავალი

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან - მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

2.10. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღიარდება თუ :

-აღიარდება აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა (მაგალითად, ცვეთის, ან თანამშრომელთათვის ხელფასის დარიცხვა).

-საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება მაშინ, თუ დანახარჯების გაწევისა და შემოსავლების ცალკეული მუხლების მიღების პროცესებს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. ეს არის ამონაგებისა და დანახარჯების შესაბამისობის პრინციპი. იგი გულისხმობს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციით, ან მოვლენით გამოწვეული ხარჯებისა და ამონაგების ერთდროულ აღიარებას.

კომპანიას საანგარიშო პერიოდში აქვს საოპერაციო იჯარა. კომპანია იჯარის კლასიფიკაციას ახდენს იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი პერიოდის განმავლობაში.

2.11. კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის თანხა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალის სახით, კომპანიის კაპიტალში, იმის გათვალისწინებით, რომ ის შეტანილი იქნება კომპანიაში მესაკუთრეთა მიერ.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. შემოსავლები

კომპანიის ძირითადი შემოსავლები წარმოადგენს სამშენებლო ტექნიკის და მოწყობილობების იჯარას და ლიზინგიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლებმაც 2021 წელს შეადგინა 5,941,763 ლარი. ხოლო რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა - 27,713 ლარი.

5. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები	კონსტრუქციები	კომპ. და აქსესუარები	ელ-მოწყობილობები	სხვა	Total
ძირითადი საშუალებები 01.01.2020	3.537.439	50.613	35.547	15.005	4.350	282.598	3.925.552
ძირითადი საშუალებების შეძენა	94.781	-	-	3.084	-	364	98.229
ცვეთა ამორტიზაცია	(240.877)	(13.497)	(7.853)	(6.539)	(2.141)	(32.553)	(303.460)
ძირითადი საშუალებების გასვლა	(220.348)	-	-	-	-	-	(220.348)
ძირითადი საშუალებები 31.12.2020	3.170.996	37.116	27.694	11.549	2.209	250.409	3.499.973
ხარჯი	(125.567)	-	-	3.084	-	364	3.865.348
დაგროვილი ცვეთა	(240.877)	(13.497)	(7.853)	(6.539)	(2.141)	(32.553)	(2.278.342)
ძირითადი საშუალებები 31.12.2020	3.170.996	37.116	27.694	11.549	2.209	250.409	3.499.973
ძირითადი საშუალებების შეძენა	4.033.218	32.128	-	2.853	-	6.588	4.074.787
ცვეთა ამორტიზაცია	(422.956)	(16.710)	(7.853)	(6.901)	(1.624)	(32.985)	(489.030)
ძირითადი საშუალებების გასვლა	(1.852.544)	-	-	(2.034)	-	-	(1.854.578)
გასულ ძირითად საშუალებებზე დაგროვილი ცვეთა	209.169	-	-	1.243	-	-	210.412
ძირითადი საშუალებები 31.12.2021	5.137.883	52.534	19.841	6.710	585	224.012	5.441.565
ხარჯი	2.180.674	32.128	-	819	-	6.588	2.220.209
დაგროვილი ცვეთა	(213.787)	(16.710)	(7.853)	(5.658)	(1.624)	(32.985)	(278.617)
ძირითადი საშუალებები 31.12.2021	5.137.883	52.534	19.841	6.710	585	224.012	5.441.565

6. ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
პერსონალის ხარჯი	(448,327)	(252,121)
იჯარის ხარჯი	(81,167)	(60,559)
ცვეთა და ამორტიზაცია	(67,973)	(49,126)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგებისა)	(54,749)	-
საკონსულტაციო ხარჯი	(43,069)	-
საწვავის ხარჯი	(40,766)	-
სხვა ხარჯი	(39,393)	-
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	(775,444)	(361,806)

7. ფინანსური ხარჯები

	2021	2020
საპროცენტო ხარჯი	(49,511)	(49,827)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და	-	(685,085)
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-	(8,289)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-	(8,289)
ფინანსური ხარჯები	(49,511)	(743,201)

8. ფინანსური შემოსავლები

	2021	2020
საპროცენტო შემოსავალი	17,597	49,727
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და	456,914	-
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-	-
ფინანსური ხარჯები	474,511	49,727